 გულში კი ფიქრობს: „სად იშოვის დასაწოლს ადგილს...
 სად მოახერხებს მელანია დაძინებასა!“.

(დასასრული იქნება)

ილია ფერაძე.



ქეთე ლირი.

(შექსპირისა)



ავერანებული ტრიალი მინდორია, არსად არ მო-
 ჩანს აյ ხორციელი. წვიმა, ელვა-ქუხილი, მძაფ-
 რი ქარიშხალი ბობოქრობს გარშემო, ამის-
 თანა საშინელი ღამე ძნელი წარმოსადგენია.
 თვით ნადირი მიმალულია თავიანთ ბუნა-
 გებში. ამ საშინელ ღამეს, ამ გავერანებულ
 მინდორში ჭყავა დაკარგული, სასოწარკვეთილე-
 ბით მოცული მოხუცი მეფე ლირი დახერიალობს
 უგზო-უკლოთ. იგი უქუდოთ, თავშიშველი, მის
 თეთრ თმებს ქარი აფრიალებს. მეფეს თითქს
 სურს ამ ქარის ზუილში, ამ ელვა-ქუხილის ვაი-ვაგლახში ჩა-
 მარხოს თავისი საშინელი გულის ტკივილი,— ეს ელვა-ქუხი-
 ლი, ეს ცეცხლი, ეს ქარიშხალი—ჩემი ქალები არ არიან,—
 ბუტბუტებს მოხუცი,— მე თქვენ ბოროტობას არ გისაყვედუ-
 რებთ. სიცოცხლეშივე არ მომიცა თქვენთვის ჩემი სამეფო.
 შვილებათ არ მიმიჩნევიხართ. რამდენიც გნებავდეთ დასკინეთ,
 შეურაცყოფეთ უძლური, სუსტი მოხუცი როგორ არ გცხვე-
 ნიანთ რომ ეომებით ამ მოხუცს, თეთრ თმიან თავს

ლირის მასხარა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში
 მხოლოთ ხუმბრობა—იგავებით ლაპარაკობდა, ახლა ცრემლ-მო-
 რეული ცდილობს საყვარელ მეფეს გაუქარწყოლოს ნაღველი.
 მაგრამ ლირს ფიქრები და აზრები თან და თან ერევა. ამ
 ღვთისრისხვა ლამეში იგი წედავს ღმერთებისაგან მოვლენილ სას-
 ჯელს ხალხისადმი მათი ცოდვების უკის. იგი გრძნობს, რომ
 მან თითონაც ბევრი ცოდვები ჩაიღინა, მაგრამ სასჯელი მე-
 ტათ სასტიკია. მეაცრმა სიცივემ, უწევობამ და ნაღველმა გუ-
 ლი მოულბო, მას სხვა ლარიბებიც მოაგონდა, რომელნიც
 სიცივეს და სიმშილს ითმენენ.

— თქვე საწყლებო, შიშველ-ტიტველებო, ამბობს იგი,
— ხშირათ ხედავთ ხოლმე ამისთანა საშინელ ღამეს, რო-
გორ გაუძლებთ მშიერ-მწყურვალნი, ძონძებში გახვეულნი,
უთავშესაფაროთ? ვინ შეგაფარებინებთ თავს, უბედურნო?
რატომ აქამდის არ მოვიფიქრე! ისწავლე მდიდარო, ისწავლე,
საწყლის განკითხვა. იწუხე მათი ვაგლახით და რაც შეიძლება
მეტი, მეტი მოწყალება გაუწვდინე მათ.

კეთილი კენტი ამაოდ ეხვეწებოდა თავის მეფეს თავი
შეეფარებინა ქოხში,—ლირი ყურს არ ითხოვებს. გულში
იკრავს მუქს და ამბობს: — „ეს ჩემი გულის ტკივილი გამო-
წვეული უმაღლრი ქალების საქციელით მოხუცი მამისაღმი,
რომელმაც თავისი გულ კეთილობით მისცა მათ ყველაფერი —



აქარწყლებს ჩემ სხეულის „ნაღველს“ მარტო ის ხსენებაც, ის
მოგონებაც, რომ ქალიშვილებშა ამისთანა მრისხანე ღამეს არ
მისცეს მას თავშესაფარი და გააგდეს იგი, მეფე, როგორც

მათხოვარი — ცრემლებს აფრქვევინებს მას... და უბედური ღმერთს ავედრებს თავის თავს... და როდესაც ამ საშინელ ღმერთი მეფე შეხვედება კუთხა შეშლილ გლახაქს — იგი შემოი-ხევს თავის მეფურ ტანისამოსს და რომ გაათბოს და გააძლოს თავისთანავე საწყალი თანხმდება შევიდეს ქოხში, სადაც კენტმა უშოვა ბინა.

მაგრამ გვიანდა იყო უბედურის შეველა, უძლურმა, მო-სუცებულმა ველარ შესძლო ბუნების სიმკაცრის ატა-ნა, ზნეობრივი აღშფოთება და ლირი კუთხე შეიშალა. მის შერყეულ გონებას ელანდება სულ თავისი უმაღლური შეილები. ღონე მიხდილი არ იკარებს საჭრელ-სასმელს და ბოლოს მძიმე ძილს მიეცემა.

ამასობაში გონერილიას და ჩევანას, რომელთაც არას დროს ერთმანერთი არ უცვარდათ მემკვიდრეობის თაობაზე ჩხუბი მოსდით. ორივეს უნდოდათ სრული უფლება ჩაეგდოთ ხელში. ამიტომ ქრებიც წაჲკიდეს ერთმანეთს. ამათი ჩხუბის აბბავი და როგორ მხეცურათ მოექცენ მოხუც მეფეს, მიაღ-წია საფრანგეთამდის, შეიტყო კორდელიამაც, რომელიც, რო-გორც კენტი, კარგს არას მოელოდა ამ სამეფოს გაყოფით. კორდელია შეხვეწა და შეემუდარა თავის ქმარს, საფრანგე-თის მეფეს, რომ ჯარი მიეცა მისთვის გასალაშქრებლათ დების წინააღმდეგ, რადგან მამა მისი ასე შეურაცყოფეს. ჯარი ფა-რულათ შევიდა ქალაქ დოვარში და ი იქ კენტმა დაუხვედრა. კორდელიას წერილი, რომელშიაც აუწერდა საბრალო მეფის მდგომარეობას, ქალმა დაწვრილებით არ იკოდა ყველაფერი და ამ წერილმა საშინაოთ ააღელვა. წაკითხვის დროს მის ნაზ ღიწვებზე ცრემლი ღაპა ღუპით ჩამოსდიოდა. ქალი რაც კი შეეძლო ებრძოლა თავის ნაღველს, ცდილობდა სულით არ დაცემულიყო. ამიტომ მის სახეზე ხან თითქოს გაზაფხულის მზეს სხივები კაშკაშებდა და ხან ღრუბელი ეფინებოდა. მის ბრწყინვალე ალმასებური თვალებიდან თითქოს მარგალიტების ცრემლები სცეივათ და იმავე ღრჯოს მის ბავეს ღიმილი არა მორდებოდა. მხოლოდ ერთხელ ორჯელ ჩურჩულით წამოი-ძახა: მამავ! ჩემო მამავ! თითქოს გულიდან ამოხეთქილი კვნე-სააო. მეტ ერთი კადევ შეჲყეირა: ახ, დებო, დებო! შეგირ-



ცხვეთ დედაქაცობა! უბედურო მამაჩემო! კენტო, სად იყავ მაშინ, იმ ქარიშხალიან ღამეში ქვეყანაზე აღარ ყოფილა სი-ბრალული! და კრემლები ნაკადულივით გადმოსქდა. სწრაფათ მოშორდა წერილის მომტანს, რომ თავისი ნალველი სხვისთვის არ ეჩვენებინა.

მეფე გამოირკვა მძიმე ძილისაგან. თვალ წინ წარმოუდგა რაც თავს გადახდა. სირცხვილი სწვამს და ზაგამს. მხოლოთ ახლა გრძნობს იმ სისასტიკეს, როგორითაც მან დაწყევლა კორდელია, ვანდევნა იგი უცხო ქვეყანაში, ხელი ააღებინა მემკვიდრეობაზე უფროსი დების სასარგებლოთ, თავმოყვარეობა და შიში, თუ როგორ მიადგეს კარს იმას, ვისგანაც თითონვე ხელი აიღო, უშლის მოხუცს ქალთან მისვლის. ვინ იცის როგორ მიიღებს მას კორდელია! ამაზე საბრალო ხელ-ახლათ კეუჯაზე ირყევა, ხელახლათ მარტო გარბის მინდოორში ნალვლის გასაქარწყლებლათ. თავისი სამეფო დროის წინანდელი მოგონებანი მოსვენებას არ აძლევენ. კაცის უსამართლობა ქნებავს მას. იგი იმკობს თავის ჭალარა თმას, — ვითომ მეფური გვირგვინით, ყვავრებით და ბალახებით: რეპანით, ყაყაჩოთი, ჭინჭარით და სხვა და სხვა გვარის. მცენარეებით.

კორდელია ტყობილობს ამას ყველაფერს და უფრო ეთუთქება გული. — მოძებნეთ ახლავე ყველგან! გასცემს იგი ბრძანებას, — გაგზავნეთ მთელი რაზმი, რომ არე-მარე გაჩხრიკონ! მიპოვეთ უსათუოთ მეფე.

შიშით და კრძალვით ეკითხება ექიმს, — შეიძლება რომ მამას კეუჯა დაუბრუნდეს? თან ჰპიტდება მოსარჩენათ, რასაც კი მოსთხოვს, კორდელია სასოწარკვეთილებით ეველრება ზე-ციერს ღმერთს, რომ მამას მოსვენებული სიცოცხლე მიანიჭოს, რომ იგი ხეტიალის დროს უგზო-უკლიოთ არ დაიღუპოს.

— მამაო, ჩემთვის საყვარელო მამაო! ამბობს კორდელია, როდესაც ბრიტანიის ჯარი გამოილაშქრა მის წინააღმდეგ. — მე შენი გულისთვის მტერზე მიედინარ საომრათ, მე შენი გულისთვის მწარე ცრემლით შვერედრე საფრანგეთის მეფეს. ჩენ მიწების შესაძნათ კი არ გამოვილაშქრეთ — არა და არა, ხოლო წმინდა სიყვარულის გამო, ხოლო მამისა და მოხუცე-

პულის უფლების დასაცველით. როდის ვნახავ მამას, როდის გავიგებ მის ხმას?

კორდელიას ამაღა ბოლოს როგორც იყო პოულობს ლირს. იგი კეუზე ძალიან შეშლილი. უბრალოთ ცდილობენ აუხსნან, რომ ისინი გამოგზავნილი არიან მისი ქალიშვილისაგან. უბედური ვერ მოდის გონებაზე და ჰგონია რომ მოტყუებით უნდათ ჩაიგდონ ხელში და დატყვეონ.

— მე ვერარავინ მიშველის, ამბობს იგი, — მარტოთ მარტო ვარ! ცრემლით დავილიე! ყვავილებს ცრემლით დავნამავ და ცრემლითვე მტვრიან გზებს მოვრწყავ!

იუნის, ხარხარებს საბრალო, მერე კალთებს აიკრეფს, გარბის და ყვირის: აბა, დამიჭირეთო! ამ სანახაობაშ საშინლათ შეაწუხა კარის კაცნი. იმათ აიტაცეს ლირი ხელში და ქალთან ლაშქართა ბანაკში მიიყვნეს.

ფრანგებთა ბანაკში, კორდელიას კარავში, რბილ ქვეშა-გებზე სძინავს წამებულ მოხუც მეფეს. ქალის ბრძანებით ძილის დროს მას ტახისამოსი გამოუცეალეს. კორდელია და კენტი ელიან მის გამოლვიდებას. შეწუხებული კორდელია უკითხება ექიმს:

— როგორ არი მეფე? თან ლოცულობს: „სულიერო ღმერთო, განკურნე წყლულისაგან მამა ჩემი! დაუბრუნე ძალ-ლონე, დაიფარე ნალვლისაგან გონება დაკარგული უბედური!

ექიმმა კარგათ იცოდა, რომ წამლებით სულით ავათმყოფის მორჩენა არ შეიძლება და ამიტომ სთხოვა კორდელიას მიუახლოვდეს მამას და მუსიკის დამკვრელებს უბრძანებს, რომ თავიანთი დაკვრით გააღვიძონ ავათმყოფი. მას იმედი აქვს, რომ საყვარელი ქალის დანახვით და საკრავების ტკბილი ხმები გამოაფხიზლებენ ტანჯულ სულს. კორდელია იჩიქებს მოხუცის საწოლ წინ და მოისმის მუსიკის ნელი ჰანგები.

— მამაო, ჩემო საყვარელო მამაო! ამბობს ქალი და თან კოცნის მძინარეს, — დეე ამ ჩემი კოცნით მოგეცეს სიმრთელე, დეე ამითი განიკურნოს ის წყლულები, რომელიც ჩემმა დებმა სიბრტის დროს მოგაყენეს შენ. მამაც რომ არა ყოფილიყავი მათოვის, მარტო შენი თეთრი თმები უნდა შე-



ებრალებინათ. ნუ თუ ეს ჭალარა თავი ჭექა-ჟუხილს და მძაფრ ქარს ეომებოდა ნუ თუ ეს უმწეო საბრალო მოხუცი მთელი ლამეობით უთავშესაფაროთ, ელვა ჭუხილის ქვეშ ატარებდა! ჩემ მტრის ძალლსაც კი, რომელმაც უწყალოთ მიკბინა, ვუშოვიდი ჩემ ცუცხლა პირას აღვისს, — შენ კი, ჩემი უბედურო მამავ, ამისთანა მკაცრ ლამეში ვერც კი შეაფარე საღმე თავი. ღმერია! როგორ ჭუჭასთან ერთად სიცოცხლეც არ დაჰკარგა?

ლირმა გაიღვიძა. კორდელია შიშობს, კანკალებს, რომ მოხუცე ამ ცულილებამ, ამის დანახვამ ცუდათ არ იმოქმედოს და სთხოვს ექიმს, რომ პირველათ თვითონ ის დაელაპარაკოს. ექიმი კი ამჯობინებს, რომ ქალი გამოეხმაუროს, კორდელია აღლვებული ხმით, თვალებზე ცრემლ შეუშრობელი ჰქითხავს მამას:

— როგორა ბრძანდება ჩემი მეფე მფლობელი! ხომ კარგათა გრძნობს თავს, მეფე?

ლირი ვერ სცნობს შვილს.

— რა უნდოდათ ჩემგან, რათ ამომიღეს კუბოდან? ამბობს იგი, — შენ ხომ ზეციდან მოვლენილი ანგელოზი ხარ! მე ვტირი და ეს ცრემლი მე შწვამს.

— მიცანით, ჩემი ხელმწიფევ?

— მე შენ გიცნობ. შენ ხარ სული წმიდა. შენ ხომ დიდი ხანია მკვდარი ხარ!

— ჩემო ხელმწიფევ, შემომხედეთ! დამლოცეთ...

ლირი გონებაზე არ მოდის და კორდელიას წინ შეულებზე ვარდება.

— გთხოვ, ამბობს იგი, — ნუ დამცინი. — მე უმწეო, გამოხერხეტებული მოხუცი ვარ... ოთხმოც წელზე მეტი... ხელავ, ჭუჭაზე არა ვარ... თითქოს გიცნობ კიდეც... აი იმასაც... (უყურებს კენტს) იმასაც ვიცნობ. ნეტავი სადა ვარ? ან ეს ტანისამოსი საიდან გაჩნდა? სად მეტინა მთელი ლამე — არ ვიცი... რათ დამცინით! მგონი ამ ქალბატონს ვცნობულობ... ჩემი შვილი კორდელიაა...

ჭალი ამას ელოდა. სიხარულით და თან ტირილით მიგარდა მამას კისერზე. დაუწყო კოცნა, აღერსი და აღტაცებით იმეორებდა:

— მე ვარ, კორდელია! მე...

მოულოდნელმა სიხარულმა ქალიშვილის დანახვით მეფე პულაზე მოიყვანა.

— მომეცი ერთი თვალებზე ხელი მოგისვა! ცრემლები-საგან სველია. გოხოვ, ნუ ტირი... მე ხომ არ გიყვარებარ. უმიზეზოთ შეურაცყოფილი ვიყავ შენი დებისაგან. შენ კი ხომ მიზეზი გქონდა გაჯავრებულიყავ ჩემზე.

კორდელია აწყვეტინებს ლაპარაკს მამას. კოცნის მას მხურვალეთ და ამბობს: არა, არა! მე მიზეზი არა მაქვს რომ გავჯავრდე!

მეფეს თან და თან გონება უბრუნდება, ეკითხება ქალს საფრანგეთში ხომ არ გადამიყვანეთო. კენტი ამაზე უპასუხებს რომ ლირი თავის სახელმწიფოშია. მეფეს არა სჯერა, ჰეონია რომ დასცინიან. ექიმს ეშინიან, რომ გავლილი უბედურობის მოგონებამ ავათმყოფობა არ გაუხალოს და ურჩევს კორდელიას გაასეირნოს ბალში ავათმყოფი. ლირი თანხმდება.

— კარგი, კარგი, ამბობს იგი,— შენთან ერთად! ოღონდ მაპატიე, დარვიწყე ჩემი ნაწყენი. მე ხომ მოვხუცდი და გამოვ-სულელდი.

კეთილ ქალს დიდი ხანია აღარ ახსოვდა მამის შეურაცყოფა. მამის დაუჭირა ხელი და ბაღში წაიყვანა, რომ იქ თავისი ალერისით, სინაზით და მხიარულობით გაერთო საყვარელი მოხუცი

ამავე დროს უფროსი დების და მათი ქმრების ჩხუბი ნამდვილ მტრობათ გადაიქცა. გონერილიას ქმარს ალბანის უნდოდა ფრანგებს შებმოდა მფლობელობის დასაცელელათ, მიგრამ თანაც არ უნდოდა მოხუცებული მეფის წინააღმდეგ გალაშქრება, რომელსაც ასეთი მკაცრი შეურაცყოფა მიაყენა თვით ქალიშვილმა, მისმა კალმა, გონერილიამ. კორნვალის ჰერცოგი, რომელიც შეუცრი ხასიათით ძალიან მიეგვანებოდა თავის კოლს რეგანას იყო მოკლული თავისი საკუთარი მსახურის ხელით, რადგან მან ველარ აიტანა მისი მკაცრობა. რეგანა ვაჟყა ცოლიათ ერთი კარის კაცის, ედმუნდის შვილს, რომელიც მაშინვე ჩადგა ბრიტანიის ჯარის უფროსათ. ოლბა-



ნიმ კი ვერ მოასწრო წინააღმდეგობა გაეწია ედმუნდისთვის და საფრანგეთის მეფის მხარე დაეჭირა.

ედმუნდი უკვე გაელაშქრა ფრანგების წინააღმდეგ, დაამარცხა ივინი და ტყვეთ წიაყვანა მოხუცებული მეფეც და კორდელიაც. კორდელიას გული დაეთუთქა იმიტომ კი არა, რომ ტყვეთ მიჰყავდათ სიმართლისთვის, ის ამას არ შეუშინდებოდა, მხოლოთ სწუხდა საბრალო მამისთვის. შიშობდა ლირი არ შეხვდეს ქალებს და ისევ კუუზე არ შეირყეს. მაგრამ ლირი ყურადღებას არაფერს არ აქცევდა.

— შენ ხომ ჩემთან იქნები, ჩემო გვრიტო, კორდელია! ამბობს იგი,— მაშ აღარა მიჰყირს რა, წავიდეთ ჩეარა საპყრობელები! ჩიფჩიფებს მისი დასუსტებული ენა,— მეფე ოცნებობს კიდეც, როგორ ბედნიერათ გაატარებს ქალთან ერთათ თვით საპყრობელებიაც!

— ჩვენ იქ ვიმღერებთ, როგორც ფრინველები გალიაში, ანუგეშებს იგი შეილს,— როდესაც მოინდომებ რომ დაგლოცა მე თვითონ დაგიჩოქეთ და ბოდიშს მოგთხოვ! ჩვენ ასე ერთად ვიცხოვრებთ, ვილოცავთ, ვიმღერებთ, ზლაპრებს ვეტყვით ერთმანეთს და ასე მთელ საუკუნეს მშვიდობიანათ და მოსვენებით გავატარებთ!

ალერსით ეხვევა კისერზე იმას, ვინც მხოლოთ ახლა და-იფასა და გადახვეულნი ერთად მიღიან საპყრობელოში, სადაც ბოროტმა ედმუნდმა სამარე მოუმზადა. ეს ავი და ბოროტი სული შიშობდა, რომ ფრანგების მეფემ არ გაანთავისუფლოს თავისი კორდელია და ხალხი არ აჯანყდეს დედოფლის შეპყრობა რომა შეიტყოს და ჩუმათ გასცემს ბრძანებას, რომ კორდელია მოჰკლან საპყრობილები. ალბანი დაგვიანებით მიეჭრება ედმუნდს, მან არ იცის რა ბრძანება გასცა ამ ბოროტმა სულმა, შეურაცყოფილი იმითი, რომ ედმუნდი ერევა სახელმწიფო საქმეებში, როგორც რაინდული წესი მოითხოვდა იგი ა. ა. მალში. ამავე დროს მოულოდნელათ გამოჩნდება

ტრონი მშა, რომელსაც მამამ, როგორც კორდელია ჩამოართვა ამ ძმის გაიძვერობით და ს ძმას. ედმუნდი კვდება და სიკვდილის წინეთ ან გასცა ბრძანება, კორდელია მოეკლაო.



ალბანი მაშინვე აფრენს კაცებს საბყრობილები, რომ შეაყენებინოს ედმუნდის ულვთო ბრძანება, მაგრამ გვიანდა არის, მდევარს საბყრობილეს კარებში ხვდება მეფე მევდარი ქალიშვილით, საბრალო ხელ-ახლათ ქუჩაზედ შემლილიყო. მას არა სჯერა, რომ შვილი მოუკლეს, ჰერცოგის ტუჩებში, ელაპარაკება, გალერსება, ჰერცოგი რომ ცოცხალია.

მერე ძირს დაუშვებს ძვირფას გვამს და მოჰყვება მწარეთ ტირილს.

— დამიხრჩეს ჩემი საუნჯე, — ბუტბუტებს ლირი. — გაქრა, გაქრა სიცოცხლე! ალარ მოხვალ ჩემთან, ალარ დამიბრუნდები. ალარის დროს, ალარის დროს...

მოძლურებულმა მოხუცმა ველარ გაუძლო ამ უკანასკნელ ნაღველს, ცხარე ცრემლებით ჰერცოგის ამ გაციებულ გვამს და საბრალო ტანჯული ზედ აკვდება. ერთგული მათი მსახური კენტი დასტირის ხან ერთს, ხან მეორეს. იგი ვრძნობს, რომ ძვირფასი მეფე იმიტომ დაისჯა ასე მწარეთ, რომ ვერ არჩევდა მომხიბლავ სიტყვებს — გულის სიწრფელისაგან.

(დასასრული)

ან. წერეთლისა.

ორი დობილი.



ემოდგომა იყო. მარიამობისთვე გავიდა. თავადი ივანე ვაძის სახლის დერეფანში, ვაშლის ხის ქვეშ, გაშლილ ხალიჩაზე ისხდენ: ივანეს ერთათ-ერთი, ასე ექვსი შვიდის წლის, კეკლუცათ მორთული, ქალი-ლიზა და ივანეს მეზობლის დათიას, რარიბულათ, მაგრამ სუფთათ ჩატარებული ლიზას ტოლივე, ქალი ელენე და დილიდანვე თამაშობდენ კუკაობას. აქ მათი თამაში პირველი არ იყო, ესენი აგერ მეორე წელიწადია, რაც ხშირათ სხედან ხოლმე და, მუხლი-მუხლ მიბჯენილები, რაღაცაზე ესაუბრებიან ერთმანეთს, ხან თუ კუკაბით, ხან სხვა და სხვა ხილეულებით, ხელში. არა ერთხელ გაუყვიათ ამათ

აქ უკანასკნელი თხილის გულიც-კი, რომელიც მიუციათ იმათა თვის მშობლებს. ბავშებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი და ეს სიყვარული უფრო დამტკიცეს იმის შემდეგ, რაც დამარხეს ერთათ წამწამი და სამუდამოთ დამეგობრდენ და დადობილდენ. კარგა ხანი ითამაშეს ბავშებმა, მზე საშუადლებზე წამოდგა, სადილობამ მოატანა.— ლიზაა!! ლიზიკო!! მოისმა ლიზას დე-



დის მარიამის ხმა ფანჯარიდან.— მოდი, შვილო, დედა გენაცვალოს, გეყოფა მაგდენი თამაშობა, პური არ მოგშივდა, მოდი, უნდა ვისადილოთ. ელენეს სადილის ხსენებაზე, ფერი წაუვიდ—წამოუვიდა, მოაგონდა პური, რომელიც აგერ მეორე დღე იყო არ ენახა და თამაშობაში გართულს დავიწყებული ჰქონდა. ლიზამ საჩქაროთ მიბარგა თავისი კუკები და გაემზადა შინისკენ.— კუჭილო? ასე ეძახდენ მეტ სახელს ლიზა და ელენე ერთმნეოს,— გაიქე შენც სადილი კამე და გამოდი, კიდევ ვითამაშოთ.— არა, ლიზიკო, შენ წადი ისადილე და მე იქ დაგიცდი, მანამ გამოხვალ, მიუგო ლიზამ. რათა, კუჭილო, შენ კი განა პური არა გშიან? ჩვენ ხო დილას აქეთ ერთათა ვართ და არც შენ გიქამია რამე, შენიშნა ლიზამ ელენეს. ელენემ ველარ შეიმაგრა თავი, რამდენჯერმე პურის ხსენების შემდეგ და გადმოყარა თვალებიდან ცრემლები. ლიზამ შენიშნა ელენეს თვალებზე ცრემლი და ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა, ხომ არა ვაწყენინე-რა დობილსო.

— კუჭი, ელიკო, რა გაწყენინე, მითხარ გენაცვალე? იქნება დედა გააჯავრე, ელენე, და უსადილოთ დაგარჩინეს, თორემ რატომ შინ არ მიხვალ სასადილოთ.

— დედა ჩემი შინ არც-კია, მიუგო ელენემ ლიზას.

— მაშ სად არი?

— დედა გუშინ ბებისთან წავიდა პურის სასესხებლათ და დღესაც არ მოსულა.

— იქნება, კუჭი, სადილი არა გაქვთ დღეს? ჰკითხა ლიზამ ელენეს

— ჩვენ არც გუშინა გვქონდა სადილი და არც დღესა გვაქვს, გულ-ამომჯდარის ხმით უპასუხა ელენემ ლიზას.

ლიზა დააცერდა ელენეს ნამტირალევ თვალებში, თითქო რაღაც უნდოდა ამოეკითხა იქ, ამოიკითხა კიდეც და გადმოყარა კუნწულა ცრემლები მწუხარებისა.

— რა იქნ, შვილო, რა დაგემართა, კიდევ მოისმა მარიამის ხმა. ამ ხმის გაგონების შემდეგ, ლიზამ დასტოვა დობილი ხალიჩაზე მჯდომარე და თითონ თვალ ცრემლიანი წავიდა შინისკენ.

შევიდა ლიზა სასადილო ოთახში, სადაც იმის დედ-მამას კიდეც დაეწყოთ სადილი, და მიეკრა ტირილით დედას გულზე.

მარიამს გაუკვირდა, ამ ბავშვს რა დამართვია, რა ატი-
რებსო და გადახედა ივანეს. ივანე შეფიქრიანდა, წამოხტა სუ-
ფრიდან და მოეხვია ალექსით ლიზას.—რათა სტირი მამა გე-
ნაცვალოს, შვილო, დობილმა ხო არა გაწყენინა რა?

— არა, ის შე თავის დღეში არაფერს მაწყენინებს, ის ჩე-
მი ელიკოა, მიუგო ლიზამ მამას.

— მაშ რა გატირებს, შვილო?

— ელენეს გუშინაც სადილი არ უჭიმია და დღესაც არაფე-
რი აქვთ, თვალები ჩასცვიენია შიმშილით, იმისი დედა გუშინ
წასულა ბებიასთან პურის სასესხებლათ და დღესაც არსად არი,
უამბო დაწვრილებით გულ ამომჯდარის ხმით ლიზამ თავის
მამას.

ივანე გადახევია შვილს, გადაუკოცნა ცრემლიანი თვა-
ლები და ალექსით უთხრა:

— ნუ სტირი, შვილო, გაიქე და შენს დობილს აქ
დაჰპატიუე სადილზე, იმანაც ჩენთან ისადილოს. ლიზა გაფ-
რინდა სიხარულით ელენესაკენ, მოეხვია დობილს და გადასცა
მამის დანაბარევი. ელენე დიდ უარზე იყო, მაგრამ ლიზა
აღარ მოეშვა და კიდეც წამოიყვანა.

მარიამმა და ივანემ მოუგურგულეს პატარა სტუმარს.
თუმცა ელენე მორცხობდა, მაგრამ ივანემ ისე გაართო ბავ-
შები, რომ იმათ ვერც კი გაიგეს როგორ ისადილეს. სადილ-
ზე ლიზას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და არ იცოდა
რით და როგორ ესიამოვნებინა დობილისთვის, რომელიც
სადილათ, ზედ გვერდზე ჰყანდა მიკრული და ეალექსებოდა.

სადილზე ივანემ ბევრი რამა ჰქითხა ელენეს თავიანთ
სახლის გარემოებაზე, ელენეც უველავერზე აზრიანათ აძლევ-
და ივანეს პასუხს და ამ აზრიანა ლაპარაქმა იქამდის შეუქნა
ივანეს გული, რომ იქვე გადაწყვიტა რითმე ეშველა, რო-
გორც ელენესთვის, აგრეთვე იმის მშობლებისათვისაც. სადი-
ლის შემდეგ ივანემ დაიბარა ელენეს მამა დათია.

დათია მოვიდა. მისცა ივანესა და მარიამს სალამი და
თავაზიანათ მოიკითხა ცოლ-ქმარი.

— გმადლობთ, დათი, უპასუხა ივანემ. სხვა, ბიჭო, შენ
როგორ-და ხარ? ჰქითხა ივანემ დათიას.

— გმადლობთ, ბატონო, ვართ ასე რაც შეეხება ჩვენ

ორი დობილი.

სიღარიბეს. ამ ლაპარაკში რო იყო, დათიამ დაინახა თავისი ქალი ელენე.—ზის ლიზასთან და შეექცევა ყავის.—გოგო, აქ რა გინდა?! დაპერედეთ ამ მატრაკვეცას, სად წამოსკუპებულა იქ! ხო გაწყენს, გოგო, ეგ ყავა, გაეხუმრა სიცილით დათია თავის ქალს.

— არც აწყენს და არაფერი, წამოესარჩელა ლიზა თავის დობილს: ეს ჩემი ელიკა და ამას არაფერიც არ აწყენს და ჩემთანაც უნდა იყოს.

— შენ პირ შაქარი, გენაცვალე, ლიზიკო, მიუგო და-თიამ ლიზას,—იყოს ქაჯან შენთან, მე მაინც შვილებისთვის ლუკმა ველარ მიშოვნია. დათია მართლაც და წვრილ-შვილი იყო, ელენეს გარდა იმას ორი ქალი და ერთი ვაჟი სხვა ჰყეანდა.

— მართლა დათი, ოჯახში პური ხომ არ გაკლია? თუმცა ივანემ კარგათ იცოდა, რომ დათიას აგერ ერთი თვეც არი, რაც პური შემოაკლდა ოჯახში, ის ივანეს ნაჭიკჭიკები ჰქონდა ელენედან, მაგრამ ისიც კარგათ იცოდა, რომ ვაუკაცისთვის ოჯახში პურის შემოკლება დიდი სირცხვილი იყო და კითხვა იმ გვარათ უნდა დაესვა დათიასთვის, რომ ის ვერც კი მიმხვდარიყო. დათია ივანეს კითხვაზე, ცოტა არ იყოს შეყუყმანდა და ეძნელებოდა პასუხი. თქვას რო პური აკლდა, ხო იკისრა საქვეყნოთ თავისი დაბეჩავება, არა თქვას კიდე და ხო კარგათ იცის, რომ რაც უნდა კაცმა ჭირი მალოს, ჭირი მაინც თავს არ დაპირავს. რა ქნას. დათია თვალ ტანათ კარგი იყო და უნარიც კარგი ჰქონდა. თავის ტოლებს არ ჩამოუვარდებოდა და ამისთვისაც იყო, რომ ჰმალავდა თავის უქონლობას.

— იქნება სამუშაო ვერა გიშოვნიარა, დათი, ჰკითხა კიდევ ივანემ დათიას.

— დიახ, ბატონო, რაც სამუშაო ვიშოვე წლეობით, ვამუშავე და რაც-კი მოვიგდე ხელში სულ წაილ-წამოილეს: ზოგი ფაშტამ, ზოგი კანტორამ, მოხელემ, მწერალმა, გზირმა, ერმა, ბერმა, მღვდელმა და მე კი ასე დავრჩი ულუკმა-პუროთ. მინდოდა კიდევ შემოდგომით გაისულიყავ საიმე, ეგებ ზამთრის საკეებს შევაკუჩებდი, მაგრამ, კარგათ მოგეხსენებათ, თუ ერთი ორი კვირის საზრდო მაინც არ დავამყო-



ფე სახლში, გარეთ რა გულით გავიდე. ვზივარ ამ ოთხ კედელ
შეა და გამოვიყურები გარეთ. სასოფლოზედაც ვედარ გავსუ-
ლვარ სირცხვილით, ასე მგონია ქვეყანამ იცის ჩემი გაქირება
მეთქი. დედა კაცი კიდე ჩამოხდა მუხლიდან, აქეთ იქით სია-
რულით და სესხობით.

— არა, დათი, რათ ამბობ: სირცხვილით სასოფლოზე ვე-
ღარ გავსულვარ, შენიშნა ივანემ დათიას, — რა გაქვს, შვილო,
სასირცხვილო, სირცხვილი ქურდობაა და ცუდი ყოფა ქევა,
მაღლობა ღმერთს, შენ ერთიდანაც შორსა ხარ და მეორიდა-
ნაც. მილიონის პატრონები არიან და იმათაც შემოაკლდებათ
ხოლის და შენ ერთ კაცს, რომელიც შენი მარჯვენის სინა-
ბარასა ხარ, არჩენ მაგოტელა ქოლფათს და ეწევი ერთი ათად
მეტ გარეშე ხარჯს, რომ საზრდო შემოგაკლდეს, ეგ თაკილი
არ არი. მე მიკვირს ან როგორ უძლვები მაგოტელა გა-
სავალს.

— ეჭ, ბატონო, ვაი ამ გაძლოლას, დაღონებით უპასუ-
ხა დათიამ ივანეს. გლეხი კაცის გაჩენაში სწორე რომ ღმერ-
თი არა ჰრევია, იშოვნი ლუკმის, რის წვითა და დაგვით,
გინდა მაწოდო შენ ცოლ შვილს და აგერ გეძახიან: დათი,
გამოიტა, გამოიტაო, არ გიტანო ვაია და გაიტანო ვალალა.
კიდევ ბევრი რამე ჰქონდა, დათიას მოწოდილი გულზე დარ-
დი, უნდოდა ეთქვა ივანესათვის და ცოტა გულისთვის მოე-
ფონებინა, მაგრამ არც დრო იყო და ვერც გაბედა, ივანემაც
სიტყა გააწყვეტინა.

— დათი, აი შვილო, რაზედ დაგიბარე: მე მაინც მოუ-
რავი წამივიდა და დღეიდან შენ დამიდექი მოურავათ, გინდა
გადაქრით, გინდა შემოსავლის .ნაწილზე, როგორც მოიფიქ-
რებ. ამ ხელათ, ვიცი გიკირს, და წილე ერთი ორი კოდი
ფქვილი შენ ჯამაგირში, ან თუ წვრილმანი რამ გინდა ისიც
და მერე გავსწორდებით. გაემზადე დღესვე, ან დასაკერებე-
ლი გექნება, ან დასარეცხი და ხვალ დილიდან ვასენოთ
ღმერთი. მე მინდა ერთი ტყეს შემოუაროთ.

დათიას ძრიელ ესიამოვნა ალაგის შოვნა, გადუხადა ივა-
ნეს მაღლობა და გაეშურა შინისკენ.

— დათი! ჰეი დათია ძიავ! მიაძახა სიხარულით შინისკენ
მინარბენ დათიას ლიზამ.

-- რა იყო, ქალო, რა გნებავს, სიცილით მოუბრუნდა დათია ლიზას.

— მე მნებავს, რო ელენე კიდევ ჩემთან იყოს სულ, უთხრა ლიზამ დათიას.

— იყოს გენაცვალე, იყოს სულ, სულ და სულ. მიუგო ლიმილით დათიამ ლიზას. ლიზა სიხარულით მოუბრუნდა ელენეს.

— გაიგე, კუჭი, რა თქვა მამაშენშა: ელენე შენთან იყოს სულ, სულ და სულო. და ამ სიტყვებით გადაეცვა დობილს — ჰა, კუჭილ, რას იტყვი — ელენემ ნიშნათ თანხმობისა დაუქნია დობილს თვეი და ორივენი გაფრინდენ ხალიჩისკენ.

— მიხაგ! მიხაავ! დაუძახა მარიამმა პურის მცხობელს ცოტა ხნის შემდეგ.

— რას გვიბრძანებ, ქალბატონო? გააგონა მიხამ მარიამს.

— ამოილე, შვილო, კიდობანიდან, ერთი ექვსიოდე პური, აჲა ეს ყველიც და გაურბენინე დათიას, ის დღეიდან ჩეენსა მოურავათ არი.

მიხას ძრიელ გაეხარდა დათიას მოურაობა და ალაგის შონა, რადგან იმან კარგად იცოდა იმისი გაჭირება, გარდა იმისა დათია და მიხა კაი მომღერლები იყვენ და ხმაცა ჰქონდათ შეწყობილი.

— აჲ, ქალბატონო, თავაზიანათ უპასუხა მიხამ, მაგის ცოლ-შვილის მადლი ან წინ მოგეწევათ და ან უკან, კაი ბიჭია და წელს, როგორლაც ნაკლებათ არი. მიხამ სიხარულით გაურბენინა დათიას პურიც და ყველიც.

დათიას ცოლი ჯერაც არ მოსულიყო დედიდან და დათია იყო ერთ გაჭირებაში, არ იცოდა რა ექნა და როგორ დაეჩუმებინა ბავშები, რომლებიც აქეთ იქიდან შეჰყურებდენ ცრემლიანის ოვალებით.

— დათი, ეს პური და ყველი ქალბატონშა გამომატანა შენთან. ჰეი ჩვენი დათია ეხლა დიდი კაცია, გეეხუმრა მიხა დათიას და წამოჭერა მხერებზე ხელი. ამ სიტყვებით მიხამ დაუწყო შოთების მტკრევა და რიგება დათიას გოგო-მიჭებს. დათიას არ ეჭაშნია ესე სამადლოთ მოწვდილი ლუკმა, მაგრამ ზედვე მოაგონდა ივანეს სიტყვები: ან როგორ უძღვები



მაგოტელა ხარჯსაო და ცოტა მოიბრუნა გული. დათიაშ დი-
ლი მაღლობა შეუთვალი ქალბატონს შიხას პირით და დაპირ-
და სიკეთის გადახდას გაჭირებიდან გამოყვანისთვის.

საღამოზე მოვიდა დათიას ცოლი სალომეც, სალომე
მოდიოდა, მაგრამ წელი არ მოსდევდა, რადგან ვერცარას
დედასთან გახდა და აბა რა პირით და გულით უნდა მოსუ-
ლიყო შინ. ყველგან პურის უქონლობა და პურტკბილობა
იყო, ყველას თავისი თავი გასჭირებოდა. გარდა ამისა, სალო-
მე არა ერთხელ იყო დედასთან ხან პურის და ხან ფქვილის
სასესხებლათ და იმისი დედაც, როგორც ოჯახის და რძლების.
პატრიონი, ვერა ჰქედავდა შეილის შველას, თუმცა კი ცალი
თვალი და ხელი იმისაკენა ჰქონდა. სალომეს ბავშები მხია-
რულათ დაპირდენ.

— კაცო, რას გაჩუმებულხარ, შეტევნით უთხრა სალო-
მემ დათიას, — რატომ არ მეტყვი, ეე ბავშები როგორ და რით
წაიყვანე იოლათ, ამ ორ დღეში? დათიამ უამბო. სალომეს
ძრიელ გაუხარდა ახალი ამბავი და ისე მუხლ მოჭრილი დაე-
ცა სიხარულით ლოგინზე. თუმცა სალომეს დარდისაგან ნაწი-
ლი არა ჩაედგარა-ამ ორი დღის განმავლობაში, მაგრამ რა კი
ნახა რომ ბავშები გამაძლები ჰყვანდა და მომავლშიაც საი-
მედო საქმე ელოდებოდა დათიას, სიხარულით ერთ კვირასაც
რო არ ექამა არა უნდოდარა, ზათია უცდიდა მშიერის
მუცლით სალომეს, მოვა დედაკაცი და ჩვენ კიდე ერთათა
ვჭამთ პურსაო. დათიამა და სალომემ ივაბშეს. სალომემ დაა-
ძინა ბავშები და შეუდგა დათიას მზადებას. დაუკერა, დაუ-
რეცხა, გაუშრო კიდეც ყველაფერი ცეცხლზე და დილისთვის
მზათ იყო დათია. მეორე დღეს ეხლა ივანეს გამზადებული
და დილა-აღრიანვე გაემგზავრენ ორივენი ტყის შემოსავლე-
ლათ. იმავე დღეს სალომე დაიბარა მარიამია, აუწყო ფქვილი,
როგორც დაპირდა ივანე დათიას, და გაატანა.

სალომემ გამოაცხო პური და თავ მოდგმულ ვარცლს
მოუხსა გარს გოგო-ბიჭები. მარიამი მოელაპარაკა სალომეს
ელენეზედაც, რომ რაკი ჩემ ლიზას და ელენეს ესე უყვართ
ერთმანეთი და შეკვეთილები არიან, იყოს ელენე ჩვენსა წო-
ლითაც და დგომითაც. ღვთის მოცემულ ლუკმას ჩვენ არ
დავაყვედრით მაგას, მხოლოთ ძრიელ სუფთათ იყოლიე, რომ

სტუმრებთან არ შევრცხვეთ, ჩატა დახურვითაც ლიზას გამონაცვლები ეყოფათ. სალომემ მაღლობა გადუხადა მარიამს და დაპირდა ვეცვები სიკეთე გადაგიხადოვო და, თუ ვერ გადაგიხდი — მერთი გადაგიხდისო. ივანე და დათია ორ კვირამდე დარჩენ მინდორში. შემდეგ მობრუნდენ, ცხენებზე ათას ნაირ საწუთრო აკიდებულები. მინდორშივე გაენაწილებინა ივანეს ყველაფერი და რაც ემეტებოდა მიეცა დათისათვისაც, ასე რომ დათიამაც გაახარა თავისი ცოლშველი შინ მობრუნებით. ივანე საზღვარ გარეთ იყო ნამყოფი და კარგათ ეშმოდა. მიწის ძალ-ლონე, ამისთვის არა ერთი ვენახი და ხილეულის ბალი და ბახჩა ჰქონდა პატარძალივით მორთულ-მოკაზმული, ხშირათ მოუხდებოდა ხოლმე ივანეს ქალაქისკენაც გამგზავრება სხვა და სხვა ამხანაგობის რჩევა ყრილობაზე და აკი აიეხლაც მოუვიდა ბარათი, რომ დასწრებოდა საამხანაგო კრებას და ემზადებოდა წასასვლელათ.

— დათი, უთხრა ივანემ დათის ერთხელ სადილის შემდეგ — აი, შვილო, ხვალ მე ქალაქში მივდივარ ცოტა რამ საქმე მაქს და აბა შენ იცი და აქაურობამ.

— მიბრძანდით, ბატონო, მაბრძანდით, ისე იგულეო აქაურობა, ვითომ აქა ბრძანებულხართ, მაშ მოგიკვდეთ დათია, თუ თქვენი სიკეთე სამარჯვდეს დაივიწყოს და ერთი ასათ ვერ გადიხადოს, მიბრძანეთ ყველაფერი.

— კარგი, კარგი დათი, მე როგორც გაგიცან, შენთვის თქმაც და დარიგებაც მეტია, როგორც ჰქუამ გაგიჭრას და საქმე თხოულობდეს ისე მოიქეცი.

მეორე დღეს ივანე გამოეთხოვა ცოლ-შვილს და გაემგზავრა ქალაქისკენ.

— აბა, მამილო, არ დაგავიწყდეს, მასაგონა ლიზამ თავის მამას.

— რაა, შვილო, გენაცვალოს მამილო?

— მასწავლებელი, მამილო, მასწავლებელი, შენ რომ დამპირდი: ეხლა ჩემი ლიზიკო სწავლას უნდა შეუდგეს და მასწავლებელი უნდა მოუპატიუოვო. მამა გადაეხვია ლიზას. — კარგი, შვილო, კარგი.

— მეც, მამილო, და ელენესაც, ელიკო ამბობს მეც ვის-წაიკლიო.

— კარგი, შვილო, ერთი მასწავლებელი ორივეს გე-
ყოფათ.

ივანე წავიდა. დათიამაც მიაბარგა ყველაფერი სახლში და
გაწია იმავე დღეს ივანეს მამულებისკენ. ივანე კარგა ხანს
დარჩა ქალაქში, ისაჭმა რაც ესაჭმებოდა. იშოგნა აგრეთვე
მასწავლებელიც ლიზასთვის და გამზაბრუნდა შინისკენ. მასწავ-
ლებელი ქალი გამოდგა ივანეს ცოლის ნაამხანაგარი ამათ
ერთათ ესწავლათ და დიდი მეგობრები ყოფილიყვენ. ძრიელ
გაეხარდა ივანეს ეს ამბავი და არ იცოდა როგორ ეცა პა-
ტივი მასწავლებლისათვის.

სალამო ხანი იყო, მარიამმა ის იყო შემოისხა გარს
ლიზა და ელენე, ჩაის დასალევათ, რომ შემოესმა ზარის რაწ-
კუნი. ლიზა და ელენე წამოხტენ და გაიქცენ ალაყაფის კა-
რებისაკენ. კარები, უკვე, გაელო დათიას და ეზოში რაწკუნით
შემოირბინა სამცხენიანმა ეტლმა. მარიამიც მიეგება მგზავრებს.

— აბა, ქალბატონო, სტუმრები არ გინდა? ეტლიდანვე
შეუძახა ივანემ მარიამს!

— რატომაც არა, მობრძანდით.

— აბა ვინ გინდა რო იყოს სტუმარი? მარიამი ეპვეში
შევიდა, უეჭველათ ვინწე ნაცნობი უნდა მოეყვანოს სტუმ-
რათ ივანესო.


— სტუმარი ყოველთვის სასიხარულოა, მიუგო მარიამმა,
და თუ ნაცნობი იქნება უფრო სასიამოვნოა.

(დასასრული იქნება)

გ. ჭრელაშვილი.



ხ ტ უ ნ ი ა.



ხ ტ უ ნ ი ა ბაჭია ყველა ქალაქის ძალაში მაღლებს კარგათ იცნობდა. ერთი დიდი, ძალიან დიდი შავი ძალი რამდენჯერმე დადევნებია ჩენის ხტუნია, მაგრამ ხტუნია ყოველთვის ღობის პატარა. ნახვრეტში გამოძრება ხოლმე და თავს იხსნის. მეორე ქუჩის პატარა ძაღლი ამ ნახვრეტში ეტეოდა ისე, რომ ამისაგან ხტუნია სხვანაირათ დასხსნიდა ხოლმე თავს: ისეთ განიერ ხრამს გადაახტებოდა, რომელზედაც ძაღლი ვერ ბედავდა გადაახტომას. ამ ხრამს ბიკები ეხლაც „ბაჭიის ნახტომს“ ეძინიან. ქალაქში კიდევ ერთი მწევარი ძალია, ამან ხტუნიაზე ნაკლებ არ იცოდა ხტომა და თუ ღობის ნახვრეტში არ გაეტეოდა, მაღალ ღობების ზემოდან გადაახტებოდა ხოლმე და ხშირათ გაკირებაში ჩააგდებდა ჩვენ ხტუნიას, მაგრამ ამასთანაც კიდევ სხვა ხერხს ხმარობდა, წიმ და უწუმ გზის ურევდა, უცბათ შეიცვლიდა, სანამ რომელიმე ჩავლეტია მავთულებიან ღობეს არ მიატანდა, აქ იცოდა, რომ ძაღლი ვერას გახდებოდა. ყველა ძალაში ერიდებოდენ და არ ეყარებოდენ ამ ღობების. ამათ გარდა ქალაქში კიდევ ბევრი ძალები იყვენ, მაგრამ იმათი სულ არ ეშინოდა ხტუნიას.

ერთხელ ხტუნიას ბოსტანში მოუგვიანდა. როცა ბოსტანში კარგათ გამოძლებოდა ხოლმე ღამითვე გაიპარებოდა ტყისკენ—ეხლა კი გათენებამ მოუსწრო, მწევარიც საიდან ღაც



უცბათ ბოსტანში გაჩნდა და აბა ვინ წინა და ვინ უკანა! გა-
ტენილი კუჭი ცოტა არ იყოს ამძიმებდა ხტუნიას, სამაგიეროთ
მუცელ ცარიელი მწევარი სუბუქთ და მარდათ მისდევდა და
იქნება დასწეოდა კიდეც ხტუნიას, მაგრამ აშან აქაც იხტეხა,
ერთი ხუთჯერ-ექვსჯერ მაინც შეიცვალა გზა ხტუნიამ და მე-
რე შურდულივით ქალაქის იმ განაპირა სახლისაკენ გაექანა,
სადაც ხტუნიას ეგულებოდა თავისი მტერი — უიდი ძალ-
ლი. მაღალ ეზოს ლობეს რო მიატანეს, მწევარი შედევა, ხტუ-
ნია კი ლობის ძირში გაძერა და იქვე კუნკულში მიიმალა.
მწევარი დაჰყევა ლობეს და საცა უფრო დაბლა ეჩვენა ლობე
ერთი ისკუპა და ეზოში გადაეშვა, შეშინებული ქათმები კაკა-
ნით აქეთ იქით გაიფანტენ, ცხვრებმა ბლავილი დაიწყეს, ზავი
ძალლი ამათ გამოესარჩილა და მივარდა მწევარს, ამ ალიაქოთზე
ხალხიც გამოცვინდა გარეთ. ხტუნია კი ამ დროს გამოძრა
ისევ იმ ნახვრეტში და მოუსვა ტყისკენ.

II

ეს „ხტუნია“ ბაჭია და კიდევ ათასი სხვა ბაჭიები ამერი-
კის შტატ კარკადოს მიდამოებში სცხოვრობდენ, ბევრი კარგი
და ავი დატრიალებული ბაჭიების თავზე. ბევრჯელ დიდ სი-
ცივეს ან დიდ სიცხეს შეუწევებია, ბევრჯელ უქენია ბუზებს,
ან ჭირი დარევიათ, ან კიდე გარეულ ცხოველებს ბაჭიებისთვის
მუსრი გასუვლიათ, მაგრამ რაც კარკადოს მიდამოებში თან და
თან მოსახლობა მატულობდა ბაჭიების საქმე უფრო კარგათ მიდიო-
და, რადგან ძალლები და თოფები უმოწყალოთ აწყობდენ ამათ
მტრებს: მელიებს, მგლებს, კაიორებს *), მაჩვებს და მიმინია-
ებს. ბაჭიებიც მრავლდებოდენ და მრავლდებოდენ. „ხტუნია“
ბაჭია ახლათ გაშენებულ ქალაქთან, ერთ დიდ მოსახლეს გვერ-
დით სცხოვრობდა. ამ ალაგის კარგი ჯიშის ბაჭიები დასახლდენ

*) მინდვრის მცენა.

ხტუნია.

და უკელაზე კარგი, კეციანი, მარდი და მოხერხებული ამაზში კი „ხტუნია“ იყო. ფეროთაც კი ირჩეოდა სხვა ბაჭიებში,

საერთოთ ცხოველებს ბალნის ფერი ორ ნაირი აქვთ. ზან და ზან სულ არ განირჩევიან ფერით იმ ალაგისაგან, სა-დაც ისინი ცხოვრობდენ და ამიტომ აღვილათ მტერს ემალე-ბიან, ხან კი ძალიან განირჩევიან ფერით. ბაჭიას კი სწორეთ ორნაირი ფერი აქვს. როცა თავის სოროში ზის მოკუნტული ვერც კი გაარჩევთ იმის ფერს მიწასთან, მაგრამ თუ ბაჭიას საფრთხე მოელის, რომ მტერი დაინახავს მას, ის მაშინვე წა-მოხტება და გარბის და ამ დროს მთლათ სულ იცვლება: ყუ-რები თოვლისავით თეთრი უხდება და ბოლოები კი ნახშირი-ვით შავი, კუდიც შავი, ფეხები კი თეთრი. მაშინ ყველა მი-ხდება რომ ეს ბაჭიაა. ეს იმიტომ ხდება, რომ ბაჭიას ყურე-ბი წინ ნაცრის ფერია და უკან კი თეთრი შავი ბოლოებით. როდესაც სოროში ზის მოკუნტული ფეხები და კუდი არ უჩანს, დიდრონი ყურები წამოსასხამიერი აქვს ზურგზე მიფა-რებული და სულ ნაცრის ფრათ მოსახანს, მაშინ ბაჭია თითქოს ამბობს: „მე მიწა ვარ“ როცა წამოხტება და გარბის, მაშინ კი მისი თეთრი და შავი ფერი გაჰყვირის: „ბაჭია ვარ“.

„ხტუნიას“, როგორც ყველა გარეულ ცხოველებს, ერთი და იგივე მიღამოები ჰქონდა ამოჩემებული ხოლმე. ეს მიღამო ჟალაქიდან აღმოსავლეთისაკენ ასე 20-25 ვერსის მანძილზე იყო. ამ არე მარეში ხტუნიას რამდენიმე სორო ჰქონდა გაკე-თებული. ბაჭიები სულ უბრალო პატარა ორმოებს ითხრიან ხოლმე სოროებისთვის, ჩირგვ ქვეშ. საზაფხულოთ სიცხეებში სხვა სოროებს იკეთებენ, უფრო დაბურულ ალაგს და პირს ჩრდილოეთისკენ უზამენ, ზამთარში უფრო ღრმა სოროებს იკე-თებენ და სამხრეთისაკენ მიბრუნებულს, წვიმიან დღეებისთვი-საც კიდევ ცალკე სოროები აქვთ აღმოსავლეთისაკენ მიქცეუ-ლი. დღე „ხტუნია“ თავის ერთ ერთ სოროში იჯდა ხოლმე, ლამე კი საჭმლისთვის და სანავარდოთ გამოვიდოდენ ყველა



ბაჭიები და ლეკვებივით დახტოდენ და კოტრიალობდენ. გათენებისას კი დაიშლებოდენ და ხტუნია ერთ ერთ თავის. სოროსკენ გაემართებოდა.

ყველაზე უშიშარი აღაგი ბაჭიებისათვის მოსახლეების არე მარე იყო, რადგან ეხლა ისინი ხის ღობეების მაგიერ ჩეინის ჩხელეტია მავთულებს ავლებდენ თავიანთ მიწებს და ამ ჩხელეტია მავთულებისა ბაჭიების გარდა ყველა ძალლებსა და ცხოველებს ეშინოდათ და ერიდებოდენ კიდეც.

ერთ ერთი თავისი სორო „ხტუნიამ“ ამ ადგილში, ერთ დიდ ბოსტანში გაიკეთა, თუმცა სახელმწიფო მხრიდან საფრთხე მოელოდა.

(დასასრულ შემდგა)



საქალაო ცურცელი

გამოვა იმავე პრიკრაშით, როგორც 1915 წელს გამოდიოდა. გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან საზღვარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 50 კ. ცალკე ნომერი უკაფილი ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრიკიამდე სრულვდ გადაიხორინ წლიურ ფასს, მიღებენ ბრემის თრიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის რომელი მიიღება „სახალხო ფურცლის“ განცრაში, სახახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერ-ა-კი ნვ. სახოვალების წიგნის მაღაზიაში ფოსტის აღრესაზ-თიფლის, გრა. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“
 почтовыщикъ 190

მილება ხელის მოწერა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიკო და საპოლიტიკო გაზეთი

„საქართველო“

უპრემიოდ—ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“, წიგნაკებათ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

ფულის გამოვავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის ქანცრაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილის № 4. ფოსტის უფა 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4, почтовый ящикъ № 76). და წერა-ითავის სახოვალებაში.

ქეკილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა გაზვიდე წელიცადი.

თებერვალი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი
განეოფილებაა, პატარებისათვის და მოხრდილთათვის.
უსრნაღი «ჯეჯიღი» თბილისში ეჭირება
4 მან., ქაღაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევრი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში—«ჯეჯიღის» რედაქციაში,
(ორტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრეხი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედაქციაში იუიდება მალიანი იაფათ

ქველი წლის ნომრები